საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/14 „18" იანვარი 2016 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს საერთო სასამართლოების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისა და სპიკერ-მოსამართლის დებულების დამტკიცების შესახებ

1. „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის N1/208-2007 გადაწყვეტილებით დამტკიცებული საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-9 მუხლის „უ" ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს საქართველოს საერთო სასამართლოების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისა და სპიკერ-მოსამართლის დებულება თანდართული სახით.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

საქართველოს საერთო სასამართლოების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისა და სპიკერ-მოსამართლის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს დებულება განსაზღვრავს საერთო სასამართლოების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისა (შემდგომში - საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური) და სპიკერ-მოსამართლის უფლება-მოვალეობებსა და მათ საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

2. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური და სპიკერ-მოსამართლე საქმიანობას ახორციელებენ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის, სხვა სამართლებრივი აქტებისა და ამ დებულების შესაბამისად.

3. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური და სპიკერ-მოსამართლე საქმიანობას წარმართავენ მართლმსაჯულების ინტერესებისა და ამოცანების შესაბამისად.

4. საერთო სასამართლოები საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მეშვეობით საზოგადოებას აწვდიან ინფორმაციას სასამართლოს საქმიანობისა და სასამართლო სისტემაში განხორციელებული ღონისძიებების თაობაზე, ხოლო სპიკერ-მოსამართლის მეშვეობით, საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, ობიექტურად აშუქებენ და საჭიროების შემთხვევაში განმარტავენ სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

5. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური და სპიკერ-მოსამართლე მუშაობას წარმართავენ კოორდინირებულად.

მუხლი 2. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ფუნქციები

1. სასამართლოს საქმიანობის შესახებ საზოგადოებისათვის ინფორმაციის ეფექტურად მიწოდების მიზნით, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური:

ა) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურთან შეთანხმებით წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობის პოლიტიკას;

ბ) მონაწილეობს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ სასამართლო სისტემის ერთიანი საკომუნიკაციო პოლიტიკის განსაზღვრისა და სტრატეგიის შემუშავების მიზნით შექმნილ სამუშაო ჯგუფში;

გ) უზრუნველყოფს ოფიციალურ ვებგვერდზე სასამართლოს საქმიანობის შესახებ ინფორმაციის განთავსებას;

დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აკმაყოფილებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მოთხოვნებს ინფორმაციის მიწოდების თაობაზე;

ე) დახმარებას უწევს მოსამართლეებს მედიის წარმომადგენლებთან ურთიერთობაში;

ვ) საქმის განმხილველი მოსამართლის წინადადებით ან სასამართლოს თავმჯდომარის ინიციატივით აწყობს ბრიფინგებს, პრესკონფერენციებსა და სხვა ღონისძიებებს;

ზ) უფლებამოსილია, გასავრცელებელი მასალის მოსამზადებლად, გამოითხოვოს ინფორმაცია საქმის განმხილველი მოსამართლისაგან, ხოლო მოსამართლე მის მიერ განხილულ საქმესთან დაკავშირებით ინფორმაციას გონივრულ ვადაში აწვდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს;

თ) ინფორმაციის მოძიებისა და საზოგადოებისათვის სწორად მიწოდების მიზნით, თანამშრომლობს როგორც სპიკერ-მოსამართლესთან, ასევე სხვა სასამართლოების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურებთან;

ი) უზრუნველყოფს სპიკერ-მოსამართლისათვის ინფორმაციისა და საჭირო დოკუმენტების მოძიებას;

კ) უზრუნველყოფს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 13^1 მუხლით დადგენილ მოთხოვნათა შესრულებას;

ლ) ამზადებს პრესრელიზებს, საინფორმაციო ფურცლებსა და სხვა ბეჭდურ მასალას;

მ) უზრუნველყოფს ბეჭდური და ელექტრონული მედიიდან ინფორმაციის ყოველდღიურ შეგროვებასა და ანალიზს;

ნ) უზრუნველყოფს ფოტო, ვიდეო და სხვა საინფორმაციო მასალების შექმნასა და შენახვას.

2. საერთო სასამართლოში, სადაც არ მოქმედებს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, მის ფუნქციებს ასრულებს სასამართლოს მენეჯერი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურთან თანამშრომლობით.

3. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ექვემდებარება შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარეს.

მუხლი 3. სპიკერ-მოსამართლის შერჩევის წესი

1. სპიკერ-მოსამართლის კანდიდატურას, იმავე სასამართლოს მოსამართლეებთან შეთანხმებით, სასამართლოს თავმჯდომარე დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

2. შესაძლებელია, სპეციალიზაციის მიხედვით ერთ სასამართლოში უფლებამოსილებას ახორციელებდეს რამდენიმე სპიკერ-მოსამართლე.

მუხლი 4. სპიკერ-მოსამართლის უფლება-მოვალეობანი

1. სპიკერ-მოსამართლის კომპეტენციას განეკუთვნება სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ აუცილებელი ინფორმაციისა და განმარტების მიცემა.

2. სპიკერ-მოსამართლე საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დახმარებით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ოპერატიულად მოიძიებს ინფორმაციას და მისი სისწორის გადამოწმების შემდეგ გონივრულ ვადებში აწვდის მედიასაშუალებებს.

3. სპიკერ-მოსამართლე ინფორმაციის გაცემისას:

ა) იცავს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-6 და მე-10 მუხლების მოთხოვნებს;

ბ) იცავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

გ) იცავს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებსა და პროცესის მონაწილეთა კონფიდენციალურ ინფორმაციას;

დ) იცავს უდანაშაულობის პრეზუმფციას;

ე) მოქმედებს სამოსამართლო ეთიკის ფარგლებში, რაც სხვა საკითხებთან ერთად გულისხმობს პირადი შეხედულების გავრცელებისაგან, კოლეგის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების კრიტიკისაგან ან პოლიტიკური მოვლენების კომენტირებისაგან თავის შეკავებას;

ვ) უზრუნველყოფს სამართლიანი ბალანსის დაცვას პროცესის მონაწილეთა ინდივიდუალურ ინტერესებსა და ლეგიტიმურ საჯარო ინტერესს შორის;

ზ) მაქსიმალურად ითვალისწინებს და იცავს პროცესის მონაწილეთა უფლებებსა და ინტერესებს;

თ) მიუთითებს გამოყენებული სტატისტიკური მონაცემების ოფიციალურ წყაროს.

4. სპიკერ-მოსამართლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დაინტერესებული პირისათვის.